განმარტებითი ბარათი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი გამომდინარეობს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტიდან და საკანონმდებლო პაკეტის სხვა თანმდევ კანონპროექტებთან ერთად წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამოქმედო პროგრამის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი საკანონმდებლო პაკეტის ნაწილს. საგზაო მოძრაობის სფეროში არსებული ვითარება განაპირობებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებას, მათ შორის ამ სფეროში მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის განახლებას, ადმინისტრირების გაუმჯობესებას, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას და უსაფრთხოების დონის ამაღლებას. კანონპროექტის მიღება განპირობებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში პოლიციის საქმიანობაში პრევენციის კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობით.

დღეისთვის ყველა რადარი და ვიდეოკამერა, რომელიც აკონტროლებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას, მხოლოდ სტაციონარულადაა განთავსებული და იდენტიფიცირებულია სხვადასხვა საშუალებით - ამოსაცნობი ნიშნებით, მობილურის აპლიკაციით და ა.შ. სტაბილურად წინასწარ მათი განთავსების ადგილების იდენტიფიკაცია აფერხებს ამ რადარებისა და კამერების ეფექტიანობის ხარისხს და უარყოფითად აისახება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილება (გერმანია, ინგლისი, ავსტრია, სლოვაკეთი) იცნობს ასეთი რადარებისა და ვიდეოკამერების ამოსაცნობი ნიშნების გარეშე განთავსების და გამოყენების პრაქტიკას. ამ იდეის ინოვაციის წყაროს წარმოადგენს საგზაო უსაფრთხოებაზე კონტროლის გაძლიერება და პრევენციული როლის დომინირება.

გარდა ამისა, მოქმედ კანონში ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარი) და ვიდეოტექნიკის გამოყენების მარეგულირებელი დებულებები შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ფოტოტექნიკის (რადარი) და ვიდეოტექნიკის გამოყენების კუთხით, რაც ამჟამად რეგულირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის განმსაზღვრელი სათანადო კანონქვემდებარე აქტებით. თუმცა, სასურველია აღნიშნული საკითხები პირდაპირ იყოს მოწესრიგებული პოლიციის საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, პოლიციას მიენიჭოს უფლება პრევენციული საქმიანობის ფარგლებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში გამოიყენოს არსებული გამოწვევების ადეკვატური აღჭურვილობა, რომელიც დინამიკაში უზრუნველყოფს დამრღვევ მძღოლთა გამოვლენას წინასწარი იდენტიფიკაციის გარეშე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი უფლებას ანიჭებს პოლიციას, წინასწარი გაფრთხილების გარეშე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით გამოიყენოს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული/განთავსებული და არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოები. ამასთან, ტექნიკურად იხვეწება კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და 27-ე მუხლები. კანონპროექტის საფუძველზე, განისაზღვრება აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული/განთავსებული და არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოს განთავსების ადმინისტრირების წესი.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი არ გულისხმობს პოლიციის სარგებლობაში არსებული ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული/განთავსებული ავტომატური ფოტო/ვიდეო ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში პოლიციელს უშუალო კონტაქტი არ ექნება საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ პირთან და სამართალდამრღვევს სამართალდარღვევის ოქმი გაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

კანონპროექტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას შესაბამისი კონსულტაციები იქნა გავლილი საქართველოს პროკურატურასთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.